შეთანხმების ფურცელი

„რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW), მაინის ფრანკფურტი, და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მსესხებელი“), შორის სასესხო შეთანხმების (მდგრადი ურბანული განვითარება – ურბანული მობილობა ბათუმში)“ თაობაზე

უწყება	შენიშვნა	კომენტარი
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	წარმოდგენილი სასესხო შეთანხმების მე-3 დანართით მოცემულია მსესხებლის მიერ სასესხო თანხის ჩამორიცხვასთან დაკავშირებული სამართლებრივი დასკვნის („Legal Opinion“) ფორმა, რომელიც, სასესხო შეთანხმების პროექტის 7.1 მუხლის შესაბამისად, არსებითად მსგავსი შინაარსით უნდა იყოს წარდგენილი. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სამართლებრივი დასაბუთების („Legal Opinion“) გაცემაზე პასუხისმგებელი უწყებაა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. აღნიშნული დოკუმენტის სტანდარტული ფორმა ჩამოყალიბებულია რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკთან მჭიდრო კომუნიკაციის საფუძველზე. ამდენად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პოზიციით, სამართლებრივი დასაბუთების სასესხო ხელშეკრულების დანართში ასახვა სამართლებრივ და პრაქტიკულ მნიშვნელობას არის მოკლებული. ამასთან, სამინისტრო გამოთქვამს მზაობას, მხედველობაში მიიღოს კონკრეტული რეკომენდაციები სამართლებრივი დასაბუთების ფორმასა და შინაარსთან დაკავშირებით	**გათვალისწინებულია.** შეთანხმების ტექსტიდან ამოღებული იქნა იუსტიციის სამინისტროს მიერ აღნიშნული სამართლებრივი დასკვნის ფორმასთან დაკავშირებული ჩანაწერები.
	წარმოდგენილი სასესხო შეთანხმების პროექტის 10.5 და 10.6 მუხლების შესაბამისად, საკითხი შეთანხმების მარეგულირებელ სამართლად - გერმანული სამართლის, ხოლო დავების გადაწყვეტის ფორუმად - საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) წესების შესაბამისად მოქმედი საარბიტრაჟო ტრიბუნალის (ფრანკფურტი) განსაზღვრის თაობაზე, უნდა გადაწყდეს მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.	**გათვალისწინებულია.** განხილული იქნა საქართველოს მთავრობის სხდომაზე ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების ეტაპზე და შეთანხმების ტექსტი დარჩა უცვლელი.
	წარმოდგენილი სასესხო შეთანხმების პროექტის მიმართ მხედველობაშია მისაღები „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი, რომლის შესაბამისად პარლამენტი ახდენს საგარეო კრედიტების აღებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების რატიფიცირებას.	**გათვალისწინებული იქნება.** სასესხო შეთანხმება კანონმდებლობის დაცვით წარდგენილ იქნება

		საქართველოს პარლამენტში რატიფიცირების მიზნით.
	ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით შევნიშნავთ, კორექტირებას საჭიროებს სასესხო ხელშეკრულების პროექტის 8.2 მუხლში არსებული მითითება 8.18.1 მუხლზე.	**გათვალისწინებულია 8.4 მუხლში.** შეთანხმების ტექსტი დაკორექტირდა შენიშვნის შესაბამისად.
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გააჩნია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი შეთანხმებების პროექტების 10.5 და 9.4 მუხლის თანახმად, ისინი რეგულირდებიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონმდებლობით. შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტები არ წარმოადგენენ საერთაშორისო ხელშეკრულების პროექტებს და არ საჭიროებენ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონით განსაზღვრული შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების განხორციელებას.	**გათვალისწინებულია.** შეთანხმების დადების პროცედურები ხორციელდება „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები არ გააჩნია	
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გააჩნია. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული სასესხო შეთანხმების გაფორმება საფინანსო-ეკონომიკური თვალსაზრისით დადებით შედეგს მოიტანს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია მისი ხელმოწერა.	გათვალისწინებულია.
საქართველოს ეროვნული ბანკი	კომპეტენციის ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტების მიმართ შენიშვნები არ აქვს.	
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	სასესხო შეთანხმების და საგრანტო შეთანხმების პროექტებთან დაკავშირებით შენიშვნები არ გააჩნია, გარდა სასესხო შეთანხმების „4.1“ პუნქტისა, რომლის მეორე წინადადება უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „სესხის თანხების აუთვისებლობის გადასახდელი გამოითვლება პერიოდისთვის, რომელიც იწყება წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერიდან 12 თვის შემდეგ და მთავრდება თანხის ჩამორიცხვის დასრულების თარიღით“.	არ არის გათვალისწინებული დონორის მიერ. აღნიშნული პუნქტი წარმოადგენს KfW-სთან გაფორმებული შეთანხმებების სტანდარტულ ჩანაწერს.